საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 384

2011 წ. "01" 12

ქ. თბილისი

შპს - „პედაგოგისთვის" ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ,,პედაგოგს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 216313727) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის პირველი დეკემბრის №29 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
იოსებ სალუქვაძე

მდივანი
გაიანე სიმონია